ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N13

ქ.თბილისი

16 თებერვალი, 2018 წელი
17ᵐᵐსაათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
გიორგი გაბაშვილი
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
მარინა დათუკიშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
თემურ გორგაძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
გიორგი მუსხელიშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე
ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაია ბითაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ უფროსი თემურ ბოლოთაშვილი;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელი გვანცა ნიკოლეიშვილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ისაუბრა ქიაჩელის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობაზე, რომელსაც იმდენად შეუსაბამო უწოდა, რომ ტერიტორია დაბომბილ ქალაქ ხიროსიმას შეადარა. მისი თქმით, მერიას, ისტორიულ გარემოში, გაცემული აქვს სამშენებლო ნებართვა, რომელიც ითვალისწინებს იმაზე მეტ მაცხოვრებელს, ვიდრე მთელ ქუჩაზე ცხოვრობს, რომ აღარაფერი ითქვას იმაზე, რომ დაგეგმილი მშენებლობა მდებარეობს მეთორმეტე საუკუნის ერთ-ერთი უძველესი ტაძრის სივრცით განფენაში. ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ თუ თბილისის მერიამ ასე განაგრძო ნებართვების გაცემა, „შეიძლება ვისაუბროთ არა სიცოცხლით სავსე ქალაქზე, არამედ იმ ქალაქზე, საიდანაც ყველას მოგვინდება გაქცევა“ და თავად იქნება პირველი, ვისაც, სტუდენტებთან და საზოგადოებასთან ერთად, ექნება სერიოზული რეაგირება, რომ მსგავსი მშენებლობებისგან ქალაქი დაიცვას.

რევაზ სოხაძემ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებზე ნებართვა გაიცა 2012 წელს, ხოლო 2013 წელს, გიგი უგულავას ხელმოწერით, მშენებლობის კოეფიციენტი გაიზარდა 2.6-მდე, რის შემდეგაც 2015 წელს, კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, დამტკიცდა პროექტი.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, დაზუსტების მიზნით, აღნიშნა, რომ ეს საკითხი ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანია, როდესაც 2012 წლამდე გაცემული ნებართვა გაუქმდა, რადგან ჩაითვალა, რომ იყო შეუსაბამო და მისი ლეგალიზება მოხდა 2012 წლის შემდეგ. მისი თქმით, დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მშენებლობის ეტაპებს, დათარიღებულია 2016 წლით.

რევაზ სოხაძემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილს უპასუხა, რომ 2016 წელს განხორციელდა პროექტის კორექტირება და შემცირდა მოცულობაში, ხოლო რაც შეეხება ნახსენები ნებართვის გაუქმებას, აღნიშნა, რომ თავდაპირველი ნებართვა გაიცა 2007 წელს, რომელიც გაუქმდა 2010 წელს, თუმცა 2012 წელს მოხდა ნებართვის ხელახალი გაცემა.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ როგორც არ უნდა იყოს, ნებისმიერ შემთხვევაში, ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული მშენებლობა არის მიუღებელი და სასურველი იქნება საკრებულოში შეიქმნას ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც „ქალაქისთვის უკიდურესად საზიანოა“.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრს თბილისის გავითარების ფონდისგან გაეგზავნა წერილი, სადაც მოთხოვნილია 50 მილიონი ლარის განკარგვა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ანუ ტენდერის გარეშე. მათსავე წერილში მითითებულია, რომ 2015-2016 წლებში, კონკრეტული ადგილი დროებით გაამაგრეს რკინით, რადგან სრული რეაბილიტაციის თანხა არ ჰქონდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ დროისთვის უკვე ჩასატარებელი იყო სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხოლო 2018 წელს აღმოაჩინეს, რომ არის ფორს-მაჟორი და ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, რაც „არანაირ ლოგიკაში არ ჯდება“. ასევე, არალოგიკურია თბილისის მერის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ კომპანია შეირჩევა ფასთა წარმოების შემდეგ, რადგან, თუ ჯერ არ დაწყებულა ფასთა წარმოება, საინტერესოა, რის საფუძველზე გადაწყვიტა ფონდმა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაობისთვის საჭიროა 50 და არა 80 ან 40 მილიონი ლარი. ლევან ხაბეიშვილმა ისაუბრა ერთ-ერთ საბავშვო ბაღზე, სადაც ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობას აპირებდნენ სახურავზე და განაცხადა, რომ ამის გაკეთება „არ არის ნორმალური“. მისი თქმით, ეს პროექტი ჯერ-ჯერობით არ შეცვლილა და მიუხედავად იმისა, რომ თანხის 80%, კერძოდ, 1300000 ლარი უკვე დახარჯულია, მშენებლობა შეჩერებულია და შენობაში წყალი ჩადის. საუბრის ბოლოს, ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა, საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა, დედაქალაქის მთავრობის დამტკიცების დროს,

გაარკვიეს თუ არა, რომ წარდგენილი კანდიდატებიდან ვინმე ნასამართლევი იყო თუ არა, მათ შორის კორუფციის მიმართულებით და აქვთ თუ არა ინფორმაცია ერთ-ერთი რაიონის გამგებელზე, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მოითხოვა ამ ადამიანების თანამდებობებიდან გათავისუფლება.

ვახტანგ შაქარიშვილმა ლევან ხაბეიშვილის განცხადებებს „ტყუილების კასკადი" უწოდა, რადგან გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, მთავრობისთვის გადაგზავნილი მოთხოვნა არის არა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესყიდვაზე, არამედ ეს არის გამარტივებული წესით შესყიდვის მოთხოვნა, რომელიც, პირველ რიგში, ეგზავნება შესყიდვების სააგენტოს, საიდანაც გაიცემა პირველადი თანხმობა, შემდეგ უბრუნდება ფონდს, რომელიც მიმართავს დედაქალაქის მთავრობას, ხოლო ეს უკანასკნელი, ნებართვის გაცემის მოთხოვნით, მიმართავს ცენტრალურ მთავრობას. რაც შეეხება 50 მილიონი ლარის მოცულობის შესყიდვას, განმარტა, რომ ფასთა გამოკითხვის პროცესის წარმოება შეუძლებელია მანამ, სანამ არ იქნება მიღებული ნებართვა. ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, ძეგლების რეაბილიტაცია არ არის ჩვეულებრივი სამშენებლო პროცესი და ამ მიმართულებით შესაბამისი გამოცდილება გააჩნია საქართველოში მოქმედ რამდენიმე კომპანიას და დღეს მიმდინარე პროექტებში, რომლებსაც ახორციელებს „თბილისის განვითარების ფონდი" ჩართულია ათამდე მსხვილი და ოცდახუთამდე მცირე კომპანია. შესაბამისად, გაუგებარი და მიუღებელია საუბარია ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულების გაფორმებაზე და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს „თქვენ იმაზეც საუბრობთ, რომ 35 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტი შემცირებულია. თქვენ იმაზეც საუბრობთ, რომ პლუსი მინუსია, ზრდა კლებაა, მაგრამ ფაქტი და რეალობა ერთია - ჩვენ დღეს მხარს დავუჭერთ კიდევ დამატებით 35 მილიონი ლარით გაზრდილ ბიუჯეტს, რომელიც მოხმარდება იმ პროგრამული პრიორიტეტების განხორციელებას და დაფინანსებას, რის საფუძველზეც ჩვენ თბილისის მოსახლეობამ მხარი დაგვიჭირა".

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც საკითხი დგას ისე, რომ რაღაც საქმე კეთდება არასწორად და ცუდად, ადამიანებს არ აინტერესებთ იმაზე კამათი, თუ როდის გაიცა, გაუქმდა ან დაკორექტირდა ნებართვა.

გიორგი ტყემალაძემ გიორგი გაბაშვილის სიტყვებზე განმარტა, რომ რევაზ სოხაძის მხრიდან გაკათებული განცხადების მიზანი არ ყოფილა იმის დასაბუთება, თუ როდის გაიცა ნებართვა, განმარტება გაკეთდა მხოლოდ იმიტომ, რომ დაზუსტებულიყო ნიკოლოზ ვაჩეიშვილის მიერ ნახსენები კონკრეტული თარიღები.

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ამ შემთხვევაში განმარტებები გაკეთდა მხოლოდ თარიღების დაზუსტების მიზნით, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც საკითხიდან გადავდივართ იმის განხილვაზე, თუ როდის რა გაკეთდა, რაც აბსოლუტურად არასწორია, რადგან, როდესაც რაღაც კეთდება არასწორად, უნდა ვიზრუნოთ მის გამოსწორებაზე. მან ისაუბრა გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის საკითხზე, სადაც ყველაზე მთავარი და ძირითადი საზრუნავი არის, რომ საქმე გაკეთდეს კარგად და ხარისხიანად. ამისთვის კი მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შეკითხვებს: არსებობს თუ არა პროექტი, რომლითაც უნდა დაიწყოს სამუშაოები; რა პროექტია; მოხდება თუ არა ამ პროექტის პრეზენტაცია საზოგადოების წინაშე; თუ საუბარია ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულების გაფორმებაზე, არსებობს თუ არა უკვე შერჩეული კომპანია; თუ პროექტი არ ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ჩატარდება თუ არა კონკურსები პროექტზე და განსახორციელებელ სამუშაობეზე; ექნებათ თუ არა ადამიანებს საშუალება მონაწილეობა მიიღონ კონკურენციაში. დაეთანხმა ვახტანგ შაქარიშვილს, რომ ყველა კომპანიას არ შეუძლია განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები, თუმცა დასახელებული 50 მილიონი ლარის შესასრულებელი სამუშაოებიდან, საქმის დიდ ნაწილზე, რომელიც არ არის სპეციფიური, იქნება ფართო კონკურენცია, ხოლო სპეციფიური სამუშაოების განხორციელებაზე იქნება შედარებით ნაკლები კონკურენცია, თუმცა, ორივე ტიპის სამუშაობის განხილვა შესაძლებელია მოხდეს საზოგადოების ჩართულებით და კონკურენციის გზით. გიორგი გაბაშვილმა იმედი

გამოთქვა, რომ საკრებულოს წევრები აქტიურად ჩაერთვებიან აღნიშნული საკითხის განხილვაში, რათა გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის საკითხი არ დავიდეს იქამდე, რომ 50 მილიონი ლარი უბრალოდ გავიდა ბიუჯეტიდან ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და არ გვეცოდინება რა ხარისხით გაკეთდება საქმე.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საკითხზე მსჯელობისთვის და განხილვისთვის საკრებულო ყოველთვის მზად არის. რაც შეეხება შესასრულებელი სამუშაობისთვის საჭირო თანხას, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საუბარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე და სპეციფიურ სამუშაოებზე, ყველასთვის სასურველია იყოს რაც შეიძლება მეტი ჩართულობა და აღნიშნული საქმის მეტი გამკეთებელი, თუმცა მნიშვნელოვანია საქმე გაკეთდეს ხარისხიანად და მაქსიმალური ჩართულობით.

გიორგი გაბაშვილი დაეთანხმა გიორგი ტყემალაძეს და აღნიშნა, რომ არსებობს პროექტები, სადაც ერთ პირთან მოლაპარაკება და გადაუდებელი სამუშაო აუცილებელია, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ დროთა განმავლობაში ბევრი რამ იცვლება, ამ მიმართულებით დაგროვდა ცოდნა. არსებობს ბევრი კომპანია, რომელსაც შეუძლია კონკურსში მიიღოს მონაწილეობა და როდესაც ოთხი წელია გაცხადებულია, რომ გუდიაშვილის მოედანს უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია, ამ შემთხვევაში გადაუდებელი არაფერია და შესაძლებელია დაგეგმილად გაიწეროს ეტაპები, სადაც გამოცხადდება, როგორც ტენდერი და კონკურსი, ასევე, საჭირო იქნება კონკრეტული ხელოვანის ან საქმის სპეციალისტის გამოყენება.

თამარ ტალიაშვილმა ლევან ხაბეიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, თითქოს ერთ-ერთ საბავშვო ბაღში წყალი ჩადის, აღნიშნა, რომ ინფორმაცია მცდარია, რადგან ხსენებული ბაღი მდებარეობს ქვემო ფონიჭალაში, იქ უკვე ჩატარდა კაპიტალური სამუშაოები - გადახურულია, კარ-ფანჯარა დამონტაჟებულია და შესაბამისად, მისი განცხადება არის მიზანმიმართული პოლიტიკური ინტრიგა. რაც შეეხება პროექტით გათვალისწინებული ვერანდის მოწყობას, აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის ვერანდის მოწყობა არის საერთაშორისო პრაქტიკა.

მარინა დათუკიშვილმა ისაუბრა აუდიტის დასკვნაზე, რომელიც ეხება ფარცხალაძისთვის ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის მონაცვლეობით გადაცემას და აღნიშნა, რომ მაშინ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ნარმანია დაბარებული უნდა იყოს საქართველოს პროკურატურაში და მის კითხვებს გასცეს პასუხი, თუმცა, რა თქმა უნდა, ის პროკურატურას არ დაუბარებია. მისი თქმით, სამშენებლო ნებართვები და ლეგალიზებისთვის მოთხოვნილი დოკუმენტები საკრებულოს სხდომაზე არ ყოფილა განხილული და ფარცხალაძეს დღემდე არ ეძლევა შესაძლებლობა აღნიშნულ ტერიტორიაზე განახორციელოს ოთხი ოცდაშვიდსართულიანი კორპუსის მშენებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს „იქნებ, ერთხელ მაინც მოგვისმინოთ, ასეთი მძიმე რომ არ იყოს მუდმივად აუდიტის დასკვნა თუ სხვა შეფასებები“ და ბაღთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვერანდა აბსოლუტურად განსხვავდება სათამაშო სივრცისგან და თუ ეს ვინმემ არ იცის, ოპოზიციის წარმომადგენლები მზად არიან სხდომის შემდეგ, მასთან ერთად წავიდნენ და ადგილზე ნახონ არსებული მდგომარეობა. მარინა დათუკიშვილმა ისაუბრა ერთ-ერთ ტელეეთერში მიწვეულ სოციალურად დაუცველ ქალბატონებზე, რომლებიც ცხრა წელია ცხოვრობენ ზაჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქოხის ტიპის საცხოვრებელ სახლებში და არ აქვთ არც ბუნებრივი აირი და არც დენი. მათ თბილისის მერიას მიმართეს წერილით, რომ არ ჰქონდათ შეშა, თუმცა პასუხად მიიღეს, რომ მათ არ აქვთ რეგისტრაცია და მერია ვერ დაეხმარება. ამ ქალბატონების ინფორმაციით, მათი საცხოვრებელი ტერიტორია არის კერძო საკუთრება, თუმცა მარინა დათუკიშვილის მიერ მოძიებული ინფორმაციით აღნიშნული ტერიტორია მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია და მიმართა ირაკლი ხმალაძეს, რომ გადასცემს მის ხელთ არსებულ ყველა დოკუმენტაციას და როგორც უკვე რამდენიმე შემთხვევაში მოხდა, რომ მოქალაქეებს ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცათ მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონება, სადაც ცხოვრობდნენ ხანგრძლივი დროით, ამ შემთხვევაშიც, ყველამ ერთად ვიზრუნოთ ამ ადამიანებზე.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ დღეს, არსებობს შესყიდვების ელექტრონული გვერდი, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იხილოს გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაცია, სადაც ჩანს, რომ მოთხოვნა გაკეთებულია ფონდის მიერ, თუმცა წარმდგენი არის თბილისის მერია. როდესაც საუბარია, რომ გამარტივებული წესით შესყიდვა არ არის ერთ პირთან მოლაპარაკება, უნდა ითქვას, რომ ეს ნიშნავს ტენდერის გარეშე ხელშეკრულების გაფორმებას. მისი თქმით, გუდიაშვილის მოედანი უნდა გაკეთდეს, მაგრამ წუხილი გამოითქვა იმაზე, რომ როდესაც შესასრულებელ სამუშაოზე არ ცხადდება ტენდერი, ყველანაირი სტატისტიკით დადასტურებულია, რომ თბილისი კარგავს 10-დან 20%-მდე თანხას. ასევე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით არის ნებართვა აღებული ორბელიანის მოედანზე 56 მილიონი ლარის შესასრულებელ სამუშაობზეც და სწორედ ამიტომ არის თბილისის მერიის მხრიდან თითქმის 300 მილიონი ლარია დახარჯული ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებულ ხელშეკრულებებზე. ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ეს არის თბილისელების ფული და ყოველი არჩატარებული ტენდერი ნიშნავს თბილისელებისთვის დაკარგულ მილიონებს, რაც არის პრობლემატური. ირაკლი ნადირაძემ ასევე ისაუბრა იმაზე, რომ გასულ წელს ძალიან ბევრ ადამიანს უარი ეთქვა ჯანდაცვის მიმართულებით დაფინანსებაზე, თანხების უქონლობის გამო და ამ დროს, ვხედავთ, რომ 34 მილიონი ლარი მერიას დარჩა აუთვისებელი. მისი თქმით, ამაზე უმრავლესობის პასუხი არის, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც რჩებოდა ბიუჯეტში აუთვისებელი თანხები და განაცხადა, რომ მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ეს ხდებოდა ეკონომიკური ზრდის ფონზე შემოსავლების ნაწილის მკვეთრი ზრდის ხარჯზე და არა ტენდერების ვერჩატარების გამო. ირაკლი ნადირაძის აზრით, მთავარი შენიშვნა არის ის, რომ ბიუროკრატიის შემცირების ნაცვლად, სადაც შეიძლება დაიზოგოს 40 მილიონ ლარზე მეტი, ახალი ა(ა)იპ-ების, სამსახურების, და შპს-ს შექმნა, რომლის რიცხოვნობა არ აისახება საერთო რიცხოვნობაში და საუბარი იმაზე, რომ საშტატო რიცხოვნობა მცირდება, ტყუილია. განაცხადა, რომ მცირდება დაფინანსება მეტროს რეაბილიტაციის, ავარიული კორპუსების გამაგრების, კეთილმოწყობის და საგზაო გზების შეკეთების მიმართულებით და სწორედ იმიტომ, რომ 2018 წლის ბიუჯეტი არ იყო თბილისელების პრობლემებზე ორიენტირებული, „ერთიანი ნაცინალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს ჰქონდათ მიმართვა, რომ თბილისის მერს უკან გაეთხოვა ბიუჯეტი, თუმცა ეს ასე არ მოხდა, რადგან დღევანდელი ხელისუფლების ამოცანა არ არის თბილისელების პრობლემებზე ზრუნვა.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაცინალური მოძრაობის“ მხრიდან დღეს იყო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის კიდევ ერთი მცდელობა, რადგან ქიაჩელის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით, უმრავლესობის წარმომადგენლის მხრიდან რომ არ გაკეთებულიყო განმარტება, საზოგადოება ჩათვლიდა, რომ აღნიშნული მშენებლობის ნებართვა გაცემულია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში. ასევე, მცდარია ინფორმაცია, თითქოს გუდიაშვილის მოადნის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით ჩართულია მხოლოდ ერთი კომპანია, რადგან ამ პროექტის განხორციელებაში ჩართულია ათზე მეტი კომპანია. საუბარი იყო, თითქოს „ერთიანი ნაცინალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ეკონომიკური ზრდის ხარჯზე რჩებოდა ბიუჯეტში ნაშთი, რაც ასევე მცდარი ინფორმაციაა, რადგან დოკუმენტურად დასტურდება საპირისპირო. მეტროს რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი დაფინანსების შემცირება განპირობებულია იმით, რომ ჯერ უნდა მოხდეს მეტროსადგურებში არსებული მდგომარეობის შესწავლა, რის შემდეგაც მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო მანამდე ეს თანხა მოხმარდება ისევ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას. საუბრის ბოლოს, ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ დღეს წარმოდგენილი ცვლილებებით იზრდება ბიუჯეტი, რაც მოსახლეობისკენ გადადგმული ნაბიჯია.

გიორგი ბირბიჩაძემ განაცხადა, რომ ერთ-ერთ ტელეეთერში „ერთიანი ნაციოლური მოძრაობის“ წარმომადგენელი კოლეგა დარწმუნებით უმტკიცებდა, რომ გამგეობებში იზრდება მოსამსახურეების საშტატო რიცხოვნობა, დღეს გადაამოწმა ინფორმაცია და ლილე

ლიპარტელიანს გადასცა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც გამგეობებში საშტატო რიცხოვნობა მცირდება 42 ერთეულით და მიმართა მას „ვისაუბროთ სიმართლე და კონსტრუქციულად ვითანამშრომლოთ“.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ აუდიტის დასკვნა ადასტურებს იმ სიმართლეს, რაზეც „ერთიანი ნაციოლური მოძრაობის“ წარმომადგენლები საუბრობდნენ, როგორც ფარცხალაძის საკითხთან დაკავშირებით, ასევე დენდროლოგიურ პარკში დარგული ხეების გახმობაზე. ხოლო დღეს, გამწვანების მიმართულებით, იქმნება შპს, სადაც ნამდვილად იზრდება თანამშრომლების რაოდენობა, საქონელი და მომსახურების მუხლი 20 მილიონი ლარით, იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებამ იზრუნოს გამწვანების კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რომელიც დედაქალაქში პირველი პრობლემაა. მისი თქმით, „მილიონი ხის დარგვით მოსული ხელისუფლების“ მიერ დარგული ხეები განადგურებულია და რადგან არ იყო დაგეგმილი გამხმარი ხეების ჩანაცვლება, თბილისის ბიუჯეტი დაზარლდა 400000 ლარით. ფონიჭალის ბაღზე განაცხადა, რომ მშენებლობა დაიწყო 2016 წელს, თუმცა დღემდე არ დასრულებულა, არის თეთრი კარკასი, კარ-ფანჯარა ჩასმულია, მაგრამ შენობა არ არის გადახურული. ხოლო რაც შეეხება საბავშვო ბაღის სახურავზე სათამაშო ზონის განთავსებას, აღნიშნა, რომ ასეთი შემთხვევა მსოფლიოში არ არსებობს და განაცხადა, რომ ცალსახად შესაცვლელია პროექტი.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ მთელი საზოგადოებისთვის მოსაბეზრებელია ამ მუდმივი დაპირისპირების და ერთმანეთთან გაუგებარი, უმიზნო და ყველანაირ პოლიტიკურ ეთიკასთან შეუსაბამო კამათის მოსმენა. მისი თქმით, საზოგადოებამ, იმის ნაცვლად გაეგო, რომ წელს თბილისში შემოვა 100 ახალი ავტობუსი, საბავშვო ბაღებში იქნება უფრო უსაფრთხო და კომფორტული გარემო, დამატებით ქუჩების გამწვანებისთვის დაფინანსება გაიზარდა ოთხი მილიონი ლარით, ხორციელდება ძველი თბილისის მასშტაბური რეაბილიტაცია, გაიგო ქაოტური ხმაური იმასთან დაკავშირებით, თითქოს გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციისთვის 50 მილიონი ლარის გადაცემით „აპოკალიფსი დადგა“ მაშინ, როდესაც 2010 წელს თბილისის განვითარების ფონდი გათავისუფლდა ყოველგვარი შეზღუდვისგან, თანხები გაჰქონდა ხაზინის გავლის გარეშე. ბექა დავითულიანის თქმით, ძველი თბილისის რეაბილიტაცია როგორც კი შევა სატენდერო პირობებში, მაშინვე მოხდება პროცესის გაჭიანურება და მიმართა გიორგი გაბაშვილს და ნიკოლოზ ვაჩეიშვილს „არ მინდა დავიჯერო ის, რომ თქვენ გინდათ რაც ცუდი იქნება მით უკეთესის პრინციპი... მით უმეტეს, თქვენ ორთან მიმართებაში არ მაქვს განწყობა, რომ თქვენთან კონსტრუქციული თანამშრომლობა არ შეიძლება“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

2. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: მაია ბითაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქი“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: მაია ბითაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლეიშვილი

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თემურ ბოლოთაშვილი

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმის-წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალი-ტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დაჩქარებული მომსახურების და ექსკლუზიური მომსახურების გაწევისა და მათზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

9. „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვე- ვის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალ- დარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და

სასამართლოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

12. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე

15. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

17. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.655; N81.02.13.644; N81.02.13.645; N81.02.13.642; N81.02.13.643; N81.02.13.886) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლეიშვილი

18. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.05.340) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლეიშვილი

19. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი ქვემო ლისი, „ჭაობთან“, სოფელ ლისში საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლეიშვილი

20. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.29.076; N81.02.29.056; N81.02.29.066; N81.02.29.075) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლეიშვილი

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და განმარტა, რომ ბიუჯეტის ოდენობა გაზრდილია 897000000 ლარამდე, რაც გამოწვეულია წლის ბოლოს გადაჭარბებით შესრულებული შემოსავლითი ნაწილის და გარკვეული ეკონომიების ნაშთით. აღნიშნული თანხა, ძირითადად, მოხმარდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას, კერძოდ, 2018 წელს დაგეგმილია ასი ერთეული ახალი ავტობუსის შეძენა. ირაკლი ხმალაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული თანხა, ასევე გადანაწილებულია სხვადასხვა მიმართულებაზე და დეტალურად, ციფრების მითითებით, ისაუბრა თანხის განაწილების პრიორიტეტებზე, რაოდენობასა და მიზნობრიობაზე.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ გამწვანების მიმართულებით იქმნება შპს და დაინტერესდა, მოხდება თუ არა შპს-ს შტატების რაოდენობის, დაახლოებით 230 ერთეულის, ასახვა ბიუჯეტის საერთო საშტატო რიცხოვნობაში. აღნიშნა, რომ განხორციელდა შტატით გათვალისწინებული 86 ადამიანის შემცირება, რის ხარჯზეც თანხა შემცირდა 105000 ლარით, გამოდის, რომ ამ ადამიანების საშუალო ხელფასი იყო 1000 ლარზე მეტი, რაც ნიშნავს იმას, რომ წლის ბოლომდე დარჩენილ 10 თვეში უნდა დაზოგილიყო 860000 ლარი, თუმცა აქაც არაადეკვატურადაა შემცირებული მიმართულებები. გამომდინარე იქიდან, რომ ავარიული კორპუსების, კეთილმოწყობის და გზების შეკეთების სამუშაოების მიმართულებით დაფინანსება მცირდება ტენდერებიდან არსებული ეკონომიების ხარჯზე, დაინტერესდა არის თუ არა ეს უკვე დასრულებული ტენდერების ნაშთი, რადგან გამოცხადებული ტენდერების უმეტესობა ჯერ არ დასრულებულა და იყო თუ არა შესაძლებელი ამ თანხების გამოყენება ამავე მიმართულებებით, თუნდაც მცირე მოცულობის სამუშაობის განსახორციელებლად.

ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სატენდერო ეკონომია თითქმის 5400000 ლარია, რომლის განკარგვა, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო იმავე მიმართულებებით, თუმცა გაუგებარია, რა არ არის მოსაწონი - ავტობუსების შეძენა, ბაღების რეაბილიტაცია თუ გამწვანების ღონისძიებების განხორციელება. რაც შეეხება შპს-ს შტატების რაოდენობას, ის არასდროს აისახებოდა და არც ეხლა აისახება ერთიან საშტატო რიცხოვნობაში. აღნიშნული კომპანია იქმნება არა იმისთვის, რომ იქ დასაქმდნენ დღევანდელი ხელისუფლებისთვის სასურველი ადამიანები, არამედ იმისთვის, რომ კომპანიამ მოუაროს ქალაქის მწვანე სივრცეებს, რადგან არავის მოსწონს, მათ შორის არც საზოგადოებას, კერძო სექტორის მიერ ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაო და არის მოლოდინი, რომ მუნიციპალიტეტი უკეთ განახორციელებს.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ მოსაწონი არ არის ის, რომ იყო შესაძლებელი ბიუჯეტი დაზოგილიყო 40000000 ლარით, 2013 წელთან შედარებით კი, კატასტროფულად გაზრდილია,

როგორც შტატით გათვალისწინებული, ასევე ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა და რომ ბიუროკრატია კი არ მცირდება, არამედ იზრდება.

ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა, აქვს თუ არა ირაკლი ხმალაძეს ინფორმაცია, რომ თბილისის ერთ-ერთი რაიონის გამგებელის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე და იგეგმება თუ არა მისი თანამდებობიდან გათავისუფლება; ასევე ტყუილია თუ არა მისი სიტყვები, რომ მერია გუდიაშვილის ქუჩის რეაბილიტაციას აპირებს ტენდერის ჩატარების გარეშე.

დათო ჟღენტმა აღნიშნა, რომ ახალი ავტობუსების შეძენის წინააღმდეგი არავინაა, თუმცა ამისთვის საკმარისი იყო წინა წლის ნაშთი. ამ ეტაპზე წარმოდგენილია დაფინანსების შემცირება ინფრასტრუქტურის, ავარიული კორპუსების გამაგრების და მეტროსადგურების რეკონსტრუქციის მიმართულებებით და დაინტერესდა, არის თუ არა კონკრეტული კორპუსების ჩამონათვალი, რომლებიც, თანხის შემცირების შემთხვევაში, დარჩება გამაგრების გარეშე.

ირაკლი ხმალაძემ განმარტა, რომ თანხა არ შემცირებულა. ბიუჯეტი, რომელიც გადანაწილდა ახალ ღონისძიებებზე, არის წინა წლის ნაშთი და წლევანდელი სატენდერო ეკონომიები, დაფინანსება მოაკლდა მხოლოდ მეტროსადგურების რეაბილიტაციას და ეს თანხა მიმართულია ისევ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებასკენ, რომელიც დღეს თბილისში არსებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. შპს „ეკოსერვის ჯგუფზე" აღნიშნა, რომ დაფინანსდება იმ თანხით, რომელიც წინა წლებში, შესყიდვის გზით, იხარჯებოდა მწვანე სივრცეების და ნარგავების მოვლა-პატრონობაზე. გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციაზე განმარტა, რომ მოთხოვნილია გამარტივებული შესყიდვა, რომლის მიღების შემდეგაც, კვალიფიციურ კომპანიებთან, განხორციელდება ფასთა გამოკითხვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტენდერი არ ჩატარდება, თუმცა ხელშეკრულება გაფორმდება არა ერთ პირთან მოლაპარაკების ინდივიდუალური წესით, არამედ იმ კომპანიასთან, რომელსაც შემოთავაზებული ექნება ყველაზე დაბალი ფასი. რაც შეეხება თბილისის ერთ-ერთი რაიონის გამგებელს, განაცხადა, რომ არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია, თუმცა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საბაბი არ არის ის, რომ მასზე საქმეა აღძრული, რადგან არსებობს უდანაშაულობის პრეზუმცია.

გიორგი გაბაშვილი დაეთანხმა ირაკლი ხმალაძეს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა და ახალი ავტობუსების შეძენის საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნება. თუმცა, არსებობს კითხვები, რომლებიც მოითხოვს კონკრეტულ პასუხებს, კერძოდ: მეტროსადგურების რეაბილიტაციისთვის დაფინანსების შემცირებით, რომელი მეტროსადგურები არ გაკეთდება წელს; ავარიული შენობების გამაგრებას თანხა აკლდება, შესაძლებელია ეს არის ეკონომიები, თუმცა გაუგებარია რატომ არ ხდება ამ თანხით სხვა ავარიული სახლების გამაგრება, „თვლით, რომ ეს საკითხი მეორეხარისხოვანი და ნაკლებად პრიორიტეტულია?" აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით იზრდება მერიის ადმინისტრაციის ხარჯებიც და ამასთან დაკავშირებითაც საჭიროა უფრო დეტალური განმარტება, რადგან ახალი ა(ა)იპ საშტატო ერთეულს და შემცირებულ საშტატო ერთეულს შორის განსხვავება ნიშნავს საშტატო რიცხოვნობის 31 ერთეულით ზრდას.

მარინა დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ თუ შპს-ების საშტატო ერთეულების რაოდენობა არ შედის საერთო საშტატო რიცხოვნობაში, ეს იმას ნიშნავს, რომ იზრდება შრომის ანაზღაურება, რადგან ახალ შპს-ში დასაქმდებიან მერიის ფუნქციებიდან გამოსული ადამინები, თუმცა არ იკლებს მერიის შრომის ანაზღაურება. აღნიშნა, რომ ბიუჯეტიდან ამოღებულია 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულების ანაზღაურება და ისაუბრა ერთ-ერთი დაზარალებულზე, რომელიც სტიქიის ზონაში ფლობს 71 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, შენობა-ნაგებობის გარეშე და რომლის ზარალის ანაზღაურებაც დღემდე არ მომხდარა. მარინა დათუკიშვილის თქმით, ყველას ახსოვს, რომ ერთ-ერთ დაზარალებულს, ნაზღაიძეს, გადაეცა ერთი მილიონი მხოლოდ მიწის ნაკვეთში, რომელზეც არ იყო განთავსებული შენობა-ნაგებობა და განაცხადა, რომ არ უნდა მოხდეს მხოლოდ ერთი დაზარალებულის დისკრიმინაცია.

მარინა დათუკიშვილმა ისაუბრა საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხებზე, აღნიშნა, რომ შეუძლებელია ისეთი მნიშვნელოვანი და მოცულობითი დოკუმენტების შესწავლა შემჭრიდროვებულ ვადებში და მიმართა ირაკლი ხმალაძეს, რომ უზრუნველყოს მერიიდან საკრებულოსთვის მასალების წარდგენა რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებში. მარინა დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციიდან გამომდინარე, რამდენიმე საქალაქო სამსახურის თანამშრომლები დაექვემდებარებიან კონკურსის წესით დანიშვნას და დაინტერესდა, ვინ იქნება კომისიის თავმჯდომარე და რატომ არ შეიძლება მან გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება, რომ კომისიის წევრად დანიშნოს საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, რომელი ქვეყნის კომპანიებთან წარმოებს მოლაპარაკებები ახალი ავტობუსების შეძენაზე. ასევე დაინტერესდა, რატომ გამოცხადდა ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ლიკვიდაცია და რა იგეგმება ამ მიმართულებით. აღნიშნა, რომ მთავარი ბიბლიოთეკების სსიპ-ში გამოცხადდა რეორგანიზაცია, რის შემდეგაც რამდენიმე მათგანი გადადის სხვა ფართებში, რასთან დაკავშირებითაც, მოსახლეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კონკრეტულ ფართებზე იკვეთება კერძო ინტერესები და დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით.

გიორგი ჩაკვეტაძემ, საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სახელით დააფიქსირა პოზიცია, რომ ბიუჯეტის პროექტს მხარს უჭერს, რადგან წარმოდგენილი პოზიტიური ცვლილებები დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანია.

ირაკლი ზარქუამ, საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სახელით გააკეთა განცხადება, რომ ბიუჯეტი, როგორც არასდროს ორიენტირებულია დედაქალაქის მოსახლეობაზე. მიმართა ლილე ლიპარტელიანს, რომ საქონელი და მომსახურების მუხლი იზრდება არა ოცი, არამედ ორი მილიონი ლარით. გიორგი გაბაშვილის მიერ დასმულ კითხვაზე, რატომ იზრდება მერიის ადმინისტრაციის ხარჯი, განმარტა, რომ ეს თანხა მოხმარდება იმ სივრცის გარემონტებას, სადაც მოხდება მოქალქეების მიღება და მომსახურება. სახელფასო ფონდის ზრდაზე განაცხადა, რომ 2013 წელს შრომის ანაზღაურებაზე 47 მილიონი იყო გამოყოფილი, თუმცა 100 მილიონი გადიოდა სუბსიდიები კუთხით, ხოლო 2015 წლიდან ხელისუფლებამ „ჩამალული ხელფასები სააშკარაოზე გამოიტანა“, ფინანსები დაუქვემდებარა საერთაშორისო კლასიფიცირებას და სწორედ ამიტომ, 2016 წლის მაჩვენებელი იყო 96 მილიონი, თუმცა 2017 წელს შემცირდა 88 მილიონამდე, ხოლო მიმდინარე წელს - 82 მილიონამდე.

ირაკლი ხმალაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს და აღნიშნა, რომ ბიუჯეტიდან 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულების ანაზღაურებისთვის გამოყოფილი თანხის ამოღება არ ხდება, რაც შეეხება მარინა დათუკიშვილის მიერ ნახსენებ დაზარალებულს, განაცხადა, რომ შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და თუ არის რაიმე პრობლემა, მოაგვარებს. რაც შეეხება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი მასალის რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებში მოწოდებას, განაცხადა, რომ იზიარებს შენიშვნას და ეცდება, რომ მომავალში დოკუმენტები მოწოდებული იქნას რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებში. საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში საკრებულოს წევრის მონაწილეობაზე განაცხადა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს კომისიაში გარეშე პირების ჩართულობას, თუმცა პირადად მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატის მონაწილეობა აღნიშნულ კომისიაში, ფიქრობს, რომ მათი მონაწილეობა საკონკურსო კომისიაში არ იქნება არც კონსტრუქციული და არც გამჭირვალობის უზრუნველყოფის გარანტი, რადგან ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილია კანონმდებლობით. ახალი ავტობუსების შეძენაზე განმარტა, რომ ავტობუსების მწარმოებელ კომპანიებთან მოლაპარაკებები არ წარმოებს, სისტემურად მიმდინარეობს ბაზრის კვლევა და შემოთავაზებების მიღების შემდეგ, დადგინდება მინიმალური ტექნიკური პირობები, თუ რა ტიპის ატობუსები იქნება საჭირო და გამოცხადდება ტენდერი. მოლაპარაკებები კომპანიებთან მიმდინარეობს მხოლოდ ელექროავტობუსებთან დაკავშირებით, რათა დადგინდეს, წელს

შესაძენ 100 ავტობუსში, რამდენი ელექტროავტობუსის შემოყვანა იქნება შესაძლებელი, ხოლო მომდევნო წლების განმავლობაში ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის რაოდენობის გაზრდის მეტი შესაძლებლობა იქნება. ფოლკლორის სასახლის ლიკვიდაციაზე და ბიბლიოთეკების რეორგანიზაციაზე განმარტა, რომ ეს საკითხები საკრებულომ უნდა განიხილოს და მათზე დეტალურად ისაუბრებს მომხსენებელი. გიორგი გაბაშვილის კითხვაზე, თუ რომელი მეტროსადგურები დარჩება რეაბილიტაციის გარეშე, განაცხადა, რომ ამაზე პასუხი ამ ეტაპზე გაუჭირდება, რადგან ამ ეტაპზე ყველა მეტროსადგურში მიმდინარეობს საექსპერტო სამუშაობი იმისთვის, რომ დადგინდეს თუ რომელი მეტროსადგურებია ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში და კვლევების დასრულების შემდეგ შეძლებს იმ ინფორმაციის მიწოდებას, თუ რომელ მეტოსადგურებს ჩაუტარდება რეაბილიტაცია მიმდინარე წელს. ამ მიმართულებით თანხის შემცირება გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ თერთმეტივე სადგურის რეაბილატია სრულყოფილი პროცედურებით ვერ მოხერხდებოდა და ამასთანავე, ერთდროულად თერთმეტ მეტროსადგურში სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება იქნებოდა რთული არა მხოლოდ მუნიციპალიტეტისთვის, არამედ მოსახლეობისთვისაც. ავარიული კორპუსების გამაგრების მუხლში თანხა არ კლებულობს, აქ არის ეკონომია, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო ამ თანხის იგივე მიმართულებით გამოყენება, თუმცა, მისი თქმით, ქალაქისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საჭიროება არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა ახალი ა(ა)იპ-ს შექმნაზე და განაცხადა, რომ ეს იქნება „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“, რომლის წლიური სახელფასო ანაზღაურება შეადგენს 600000 ათას ლარს ეს თანხა არ არის გათვალისწინებული 31 ადამიანზე, რადგან ეს 31 საშტატო ერთეული არის ის რაოდენობა, რომლითაც დაკომპლექტდა ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური. რაც შეეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს, გაიზარდა მცირე რაოდენობით, რომელიც მოხმარდება ზედამხედველობის სამსახურის და ზედამხედველობის ფუნქციის გაძლიერებას და განვითარებას.

მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია ირაკლი ხმალაძის დამოკიდებულება, რომ საკრებულოს ოპოზიციონერი წევრები საკონკურსო კომისიის მუშაობაში იქნებიან არაკონსტრუქციულები.

გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, რომ მის მიერ დასმულ ორ შეკითხვაზე პასუხი გასაგებია, თუმცა ამომწურავი პასუხი ვერ მიიღო კითხვაზე საშტატო ერთეულებთან დაკავშირებით, რადგან გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ახალ ა(ა)იპ-ში დასაქმდებიან ამ მიმართულებით უკვე მომუშავე თანამშრომლები, რომლების რაოდენობა არის 109, ხოლო ა(ა)იპ-ს საშტატო ერთეული განსაზღვრულია 158 ერთეულით და დაინტერესდა, არის თუ არა ეს საშტატო რიცხოვნობის ზრდა?

ირაკლი ხმალაძემ განმარტა, რომ მან ისაუბრა „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოზე“, თუმცა, როგორც ირკვევა, გიორგი გაბაშვილის შეკითხვა შეეხებოდა „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“. ამ შემთხვევაში არ ყოფილა მხოლოდ გადაადგილებითი ცვლილება, რადგან მათი გადაყვანა არ ხდება მხოლოდ იმ სერვისების ჭრილში, რა მიმართულებითაც აქამდე მუშაობდნენ, არამედ ეს მოხდება უფრო განვითარებულ დონეზე. ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებამ გამოიწვია სხვადასხვა სისტემით სტრუქტურიზება, რასაც დასჭირდა დამატებითი რესურსი, თუმცა ეს მოხდა ოპტიმიზაციის ფარგლებში ისე, რომ საშტატო ერთეულების ჯამური რაოდენობა არ გაზრდილა.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, ცნობილია თუ არა, რა დრო დასჭირდება მეტროსადგურების ექსპერტიზის ჩატარებას. ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით ვერ მიიღო პასუხი და მიმართა ირაკლი ხმალაძეს, რომ ამ მიმართულებით, მოსახლეობაში ძალიან დიდი ვნებათაღელვაა და სასურველია, მერიის წარმომადგენლებმა, გადაწყვეტილების მიღებამდე, გაიგონ მათი აზრი, რადგან თუ დღეს არსებული გადაწყვეტილება არ შეიცვლება, საკრებულოს სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვას დაესწრება მოსახლეობა და შემდგომ ამას ნურავინ დაარქმევს „პოპულისტურს“.

ირაკლი ხმალაძემ მეტროსადგურების ექსპერტიზის ვადებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს აქვს სხვადასხვა ვადიანი მომსახურებები და მისთვის უცნობია, თუ რა დრო დასჭირდება მეტროსადგურების საკითხს, ასევე შესაძლებელია ექსპერტიზის დასრულება ეტაპობრივად ანუ ყველა სადგურზე დასკვნა ერთიანად არ დაიწეროს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მაია ბითაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია კანონმდებლობაში განხორციელებული რიგი სამართლებრივი ცვლილებებით, რომლებიც ადასტურებს, რომ გარემოს დაცვის მიმართულებით იცვლება პოლიტიკა. კერძოდ, მკაცრად განისაზღვრება თუ რა ტიპის საკომპენსაციო და რა ზომის ხეების დარგვა უნდა განხორციელდეს. ასევე, იქნება რეგულაციები სპეციალურ ჭრებთან დაკავშირებით და ის დაიშვება მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროების ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობის დროს, მათ შორის მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას და ასეთ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი კისრულობს ვალდებულებას მოაწყოს მწვანე ინფრასტრუქტურა.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე პროექტში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება. კერძოდ: წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ეს წესი არ ვრცელდება „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მწვანე ნარგავების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე)“ და წესიდან ამოღებული უნდა იქნას მე-2 მუხლის 39-ე და მე-40 პუნქტები იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პუნქტებით მეორდება წესში წარმოდგენილ ტერმინთა განმარტება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქი“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მაია ბითაძემ და განმარტა, რომ დღის მდგომარეობით, „თბილსერვის ჯგუფს“, მოვლა-პატრონობისთვის, შესაბამისი ბიუჯეტით, გადაცემული აქვს 10 პარკი და თბილისში არსებული შადრევნები. ამასთანავე უქმდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალქო სამსახური, რომელიც ბიუჯეტიდან, 116 მწვანე ობიექტის მოვლა-პატრონობისთვის, ფინანსდებოდა დაახლოებით 6-7 მილიონი ლარით. სწორი მენეჯმენტის და საბიუჯეტო სახსრების სწორი ხარჯვის პოლიტიკის მიზნით, თანხები, რომლებიც

მიემართებოდა მოვლა-პატრონობისთვის და არა გამწვანებისთვის გამოცხადებულ ტენდერებში და ასევე, „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ 10 პარკის და შადრევნების მოვლა-პატრონობაზე, მობილიზებული იქნა ერთ შპს-ში. შედეგად, ამ მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსება არ იზრდება, პირიქით - არის მოლოდინი, რომ რამდენიმე თვეში გარკვეული იქნება ამ მიმართულებით საჭირო თანხის ზუსტი ოდენობა. რაც შეეხება ადამიანებს, რომლებიც დასაქმდებიან შპს-ში, იქნებიან ისინი, რომლებიც დღეს, ამ მიმართულებით, დასაქმებული არიან „თბილსერვის ჯგუფში“, თუმცა, სეზონური სამუშაობისთვის, შესაძლებელია საჭირო გახდეს მებაღეების, აგრონომების და მსგავსი პროფესიის ადამიანების დამატება. მაია ბითაძის თქმით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად შეცვლილია პოლიტიკა და ძალიან დიდი ყურადღება დაეთმობა გამწვანების ღონისძიებებს.

ირაკლი ნადირაძე, გამომდინარე იქიდან, რომ შპს-ში დასაქმდებიან ის ადამიანები, რომლებიც ამ მიმართულებით, დასაქმებული არიან „თბილსერვის ჯგუფში“, დაინტერესდა, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ ადამიანების რაოდენობა მოაკლდება „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო რიცხოვნობას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება „ბიუროკრატიის გაბერვა“. ასევე, აუდიტის დასკვნიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ყოველი მესამე ხე არის გამხმარი, დაინტერესდა, რისი გაკეთება იგეგმება გამწვანების მიმართულებით და საკითხის შესწავლის შემდეგ, დადგება თუ არა იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც არ გათვალისწინეს სატენდერო პირობებში ამ ნერგების ჩანაცვლების საკითხი, რის შედეგადაც გაიფლანგა ბიუჯეტის თანხა.

მაია ბითაძემ განმარტა, რომ შპს-ში თავდაპირველად, დასაქმდება დაახლოებით 140-160 ადამიანი, რომლების 95% გადავა „თბილსერვის ჯგუფიდან“, და შესაბამისად, ეს რაოდენობა დააკლდება „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო რიცხოვნობას, რადგან უქმდება ფუნქციები, ადამიანური რესურსით და შესაბამისი მატერილურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც, დასაქმებულთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის მიზნით, საჭიროებს განახლებას. მისი თქმით, შპს-ს საშტატო რიცხოვნობის განსაზღვრა 230 ერთეულით, განპირობებულია იმით, რომ სეზონური სამუშაოებისთვის შესაძლებელია საჭირო გახდეს დამატებითი კადრების დასაქმება. მაია ბითაძემ აღნიშნა, რომ კახა კალაძის მერად არჩევის შემდეგ, უფლებამოსილების განხორციელების დღიდან, კეთდება ის, რომ აბსოლუტურად შეიცვალოს მიდგომა მწვანე ინფრასტრუქტურისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის კუთხით. რაც შეეხება აუდიტის დასკვნას, მასში მითითებული ყველა რეკომენდაცია, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ მწვანე ნარგავებმა გაიხაროს, მათ შორის მწვანე ნარგავების სახეობების, ზომების და ხნოვანებასთან დაკავშირებული, უკვე გათვალისწინებულია. ასევე, ჩამოყალიბებულია სტრატეგიული ხედვა, რომელიც ასახულია ყველა შესაბამის სამართლებრივ აქტში, რაც არის „რეფორმების პირველი ტალღა“, ხოლო უახლოეს მომავალში წარმოდგენილი იქნება ახალი კანონი, რომელიც დაარეგულირებს თბილისის ტყის ფონდის და მწვანე ნარგავების საკითხებს. რაც შეეხება გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამისი პირების პასუხისმგებლობას, განაცხადა, რომ თუ აუდიტი საჭიროდ ჩათვლის, რომ აღნიშნულს მსვლელობა უნდა მიეცეს სამართალდამცავ ორგანოებში, იმედია, ასეც იქნება.

ლევან ხაბეიშვილი, იქიდან გამომდინარე, რომ „თბილსერვის ჯგუფიდან“ წამოღებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გასაახლებელია და ამის პარალელურად იზრდება შპს-ს მიერ მოვლა-პატრონობისთვის განსაზღვრული ობიექტების რაოდენობა, დაინტერესდა, აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, შეძლებს თუ ვერა შპს-ს ვალდებულებების შესრულებას და ხომ არ გახდება საჭირო გამგეობების მხრიდან დამატებით ტენდერების გამოცხადება.

მაია ბითაძემ განმარტა, რომ „თბილსერვის ჯგუფის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გასაახლებელია არა მხოლოდ იმ მიმართულებით, რაც უნდა გადაეცეს შპს-ს, არამედ დასუფთავების კუთხით არსებული ტექნიკაც და იქიდან გამომდინარე, რომ ამისთვის საჭირო თანხა წლევანდელი ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა არა მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების მობილიზებაზე, არამედ საერთაშორისო

საფინანსო ინსტიტუტებთან მოლაპარაკებები დაფინანსების მოძიებაზე. რაც შეეხება გამგეობების მხრიდან ამ მიმართულებით ტენდერების გამოცხადებას, რა თქმა უნდა, გარკვეული ობიექტები, სხვლა-ფორმირების ნაწილში, დარჩება, გამგეობების მხრიდან, ტენდერების ჩატარების ფარგლებში, თუმცა, საბოლოო მიზანი არის ის, რომ უახლოეს მომავალში, თბილისში არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე და სხვლა-ფორმირებაზე პასუხისმგებელი იყოს ერთი, კარგად აღჭურვილი სუბიექტი.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე შეიცვალა შპს-ს დასახელება და დღის წესრიგით წარმოდგენილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქი" ნაცვლად უნდა იყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეკოსერვის ჯგუფი".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო" დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზააციის ფარგლებში, არაერთხელ გაჟღერდა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, მუნიციპალური მასშტაბით, მოხდებოდა ფუნქციის ცენტრალიზება. სწორედ ამ მიზნით და იმისთვის, რომ ეს მიმართულება იყოს მაქსიმალურად თანმიმდევრული, სწორხაზოვანი და ეფექტური, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება მოხდეს უფრო გეგმაზომიერად და მოქალაქეების ჩართულობა განხორციელედეს უფრო სწორად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციას ცენტრალიზებულად განახორციელებს ერთი დაწესებულება.

ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა, წარმოდგენილ ა(ა)იპ-ში მოიაზრებიან თუ არა ხელშეკრულებით დასაქმებული ის ადამიანები, რომლებიც დაკავებული იყვნენ „ფიარის" მიმართულებით და „ხშირ შემთხვევაში მერზე მაღალ ხელფასს იღებდნენ".

სერგო ბირკაძის თქმით, როგორც ყველასთვის ცნობილია, თბილისის მერი ხელფასს საერთოდ არ იღებს, ხოლო რაც შეეხება ა(ა)იპ-ში ადამიანების დასაქმებას, აღნიშნა, რომ საშტატო ნუსხის დამტკიცების შემდეგ, სააგენტოს ხელმძღვანელის მიერ, მოხდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმება.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესაბამისი კოდით განსაზღვრულია საშტატო რიცხოვნობა და იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილია ფუნქციის ცენტრალიზება საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, დაინტერესდა ბიუჯეტით გათვალისწინებული 24 ერთეული არის თუ არა აღნიშნულთან რაიმე კავშირში.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ამ მიმართულებით შესაბამისი ხარჯის გაწევა მოხდება სწორედ ბიუჯეტში მითითებული კოდით და მასში ასახული რიცხოვნობაც მოემსახურება ზემოაღნიშნული ა(ა)იპ-ს მიერ განსახორციელებელ ფუნქციას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლეიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია ქალაქში თანაბარი ურბანული განვითარების უზრუნველყოფა, რისთვისაც საჭიროა მულტიდისციპლინარული სამუშაო პრაქტიკის დაგეგმვა, ტრანსპორტის და ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობა, ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების შეთანხმების პროცესში დასაბუთების კომპონენტის გაძლიერება, ნებისმიერი ახალი ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეტი კვლევითი სამუშაოების მოთხოვნა და საჯაროობის გაზრდა.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე განხორციელდა არსებითი ცვლილებები. კერძოდ: ამოღებული იქნა ხუთწლიანი ვადა და შესაბამისად, მოხდება ხელახალი დანომვრა, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდება ტზ-1 და „არსებულ დაგეგმილ ავტოსადგომების“ ნაცვლად მიეთითება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული პარკირების ადგილები, მე-18 მუხლის მე-8 პუნქტში ჩანაწერი „კ-1 და კ-2 კოეფიციენტი“ იცვლება ჩანაწერით „კ-1 ან კ-2 კოეფიციენტი“ და დადგენილების პროექტის მე-7 პუნქტით განსაზღვრული 22-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან ამოღებული იქნას ჩანაწერი „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე მოთხოვნის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენამდე“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ უფროსმა თემურ ბოლოთაშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმის-წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალი-ტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური საქმისწარმოებას და მომსახურებას, შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფამდე, განახორციელებს ელექტრონული პროგრამის საშუალებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დაჩქარებული მომსახურების და ექსკლუზიური მომსახურების გაწევისა და მათზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ხდება მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის დაჩქარებული მომსახურების საფასურის ამოღება, რადგან ეს ფუნქცია გადაეცემა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

9. „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული გარკვეული სამართალდარღვევებისას ადმინისტრირებას „თბილსერვის ჯგუფის“ ნაცვლად, განახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, ამ თუ იმ ტერიტორიაზე კეთილმოწყობის წესების დარღვევისას, საკითხზე ადმინისტრირებას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ნაცვლად, განახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვე- ვის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალ- დარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება გამოწვეულია იქიდან გამომდინარე, სხვადასხვა სამართალდარღვევებისას, საკითხზე ადმინისტრირებას ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური და აქედან გამომდინარე, ცალკე წესის არსებობა მიზანშეწონილი არ არის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

12. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება განპირობებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურისთვის სახელწოდების ცვლილებით, რაც განხორციელდება 22 თებერვლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია ცვლილებები სააგენტოს სტრუქტურაში, კერძოდ: ერთიანდება ცალკეული განყოფილებები და გამოიყოფა რამდენიმე პრიორიტეტული განყოფილება, თუმცა სამსახურების და განყოფილებების რაოდენობა რჩება იგივე. აღსანიშნავია, რომ იქმნება საინვესტიციო პროექტებისა და მონიტორინგის განყოფილება, რაც ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციის მოზიდვას და მისი განხორციელების მონიტორინგს. ასევე, ცალკე ყალიბდება სანებართვო განყოფილება და რამდენიმე განყოფილებას ეცვლება სახელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

14. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია 14 ქუჩა, სადაც მიკროავტობუსები, მგზავრების მომსახურების მიზნით, გაჩერდებიან მხოლოდ ავტობუსებისთვის გათვალისწინებულ გაჩერებებზე. ასევე, დადგენილებას დაემატება დანართი, რომელშიც იქნება იმ ქუჩების ჩამონათვალი, სადაც მიკროავტობუსებთან მიმართებაში იქნება კონკრეტული რეგულაციები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

15. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია 14 ქუჩა, რომლებზეც რეგულირდება მიკროავტობუსების გაჩერება და ამ შემთხვევაშიც დადგენილებას ემატება დანართი, რომელშიც მითითებული იქნება იმ ქუჩების ჩამონათვალი, სადაც მიკროავტობუსები გაჩერდებიან მხოლოდ ავტობუსების გაჩერებებზე.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს განკარგულების წარმოდგენილ პროექტში შესასწორებელია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების თარიღი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ამ ეტაპზე ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია 1 პოზიცია, სადაც მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, წარმოდგენილ ტერიტორიაზე, ჯანდაცვის სამინისტროს თხოვნით, დაგეგმილია ჩვილ ბავშვთა სახლის მშენებლობის პროექტი, რომლის განხორციელება ფინანსდება გრანტით და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

17. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.655; N81.02.13.644; N81.02.13.645; N81.02.13.642; N81.02.13.643; N81.02.13.886) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის" წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლეიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალი და მისი მიმდებარე ტერიტორია რ არის განაშენიანებული. მასზე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ გათვალისწინებულია ინდივიადუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება, დაგეგმილია ზონის სტატუსის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1 და სატრანსპორტო ზონა 1-ით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხის მსგავსად, მომდევნო სამი საკითხიც ითვალისწინებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანებას და ყველა მათგანზე საკრებულოს შესაბამის კომისიას წარმოდგენილი აქვს დადებითი რეკომენდაცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.05.340) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის" წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლეიშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

19. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი ქვემო ლისი, „ჭაობთან“, სოფელ ლისში საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლეიშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

20. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.29.076; N81.02.29.056; N81.02.29.066; N81.02.29.075) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლეიშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 14 დადგენილება და 6 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი